ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2064312

ნომერი: AR1326285

თარიღი : 27.07.2015

გაცემის თარიღი : 12.08.2015

გაცნობის თარიღი : 12.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , საქართველოს სამხედრო გზის მე-9 კმ-ზე, მარჯვენა მხარე, (ნაკვ. N1 და N2) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- იოსებ ტოროშელიძე პ/ნ 01010002596
- ახვლედიანის ქ.N7

ორგანიზაცია:
- შპს "რიწა" კოდი: 202289353

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 13.07.2009 წლის #706 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქ. იოსებ ტოროშელიძემ 13.07.2015 წ. #AR1326285 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 13.07.2009 წლის #706 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის

არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 13.07.2009 წ. #01.13.01.018.098 (ფართობი: 2504 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე არსებული ობიექტების რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენების მიზნით დადგენილ იქნა #706 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 13.07.2009 წლის #706 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: კვების ობიექტის (რესტორანი) (შენობა #8/1) დაფიქსირება.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 13.07.2009 წლის #706 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.07.2009 წლის#706 სამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებში, კერძოდ: საპროექტოობიექტშიდაფიქსირდეს: კვებისობიექტი(რესტორანი) (შენობა#8/1);

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 13.07.2009 წლის #706 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 12-ე კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.